


EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ატარებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაცია წინამდებარე დოკუმენტის ბოლოში

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

პირველი სექცია

შალკი და კოპფის საქმე ავსტრიის წინააღმდეგ
(განაცხადი # 30141/04)

გადაწყვეტილება
სტრასბურგი
2010 წლის 24 ივნისი

საბოლოო ვერსია
22/11/2010

წინამდებარე გადაწყვეტილება საბოლოოა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2
პუნქტის შესაბამისად. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქტირებას

საქმეზე შალკი და კოპფი ავსტრიის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (პირველი სექცია), რომელიც შეიკრიბა პალატის სახით შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ხრისტოს როზაკისი, თავმჯდომარე,
ანატოლი კოვლერი,
ელისაბედ შტიინერი,
დენ სპილმანი,
სვერე ერიკ იებენსი,
ჯორჯიო მალივერნი,
ჯორჯ ნიკოლაუ, მოსამართლეები
და ანდრე ვამპახი, სექციის რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა განმარტოებით 2010 წლის 25 თებერვალსა და 2010 წლის 3 ივნისს,

და გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა 2010 წლის 3 ივნისს

პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს ავსტრიის ორი მოქალაქის ბ-ნი ჰორსტ მიქაელ შალკისა და ბ-ნი ფრანც კოპფის (შემდგომში “განმცხადებლები”) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის თანახმად, 2004 წლის 5 აგვისტოს ავსტრიის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადიდან (#30141/04).
2. განმცხადებლების ინტერესებს წარმოადგენდა ბ-ნი კ. მეიერი, ვენაში მოღვაწე ადვოკატი. ავსტრიის მთავრობას (“მთავრობა”) წარმოადგენდა მისი აგენტი, ელჩი ჰ. ტიჩი, ევროპისა და საერთაშორისო საკითხების ფედერალური სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი
3. კერძოდ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მათთან მიმართებაში განხორციელდა დისკრიმინაცია, რადგანაც ისინი იყვნენ ერთსქესიანი წყვილი და სწორედ ამის გამო მათ უარი ეთქვათ ქორწინებაზე ან რაიმე სახით მათი ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებაზე.
4. 2007 წლის 8 იანვარს პირველი სექციის თავმჯდომარემ აცნობა მთავრობას შეტანილი განაცხადის შესახებ. სასამართლომ ასევე გადაწყვიტა თანადროულად განეხილა განაცხადის არსებით განხილვაზე დაშვების საკითხი და საქმის არსებითი მხარე (29-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

5. განმცხადებლებმა და მთავრობა წარადგინეს წერილობითი კომენტარები საქმის არსებით განხილვაზე დაშვებასა და განაცხადის არსებით მხარესთან დაკავშირებით. მთავრობამ ასევე წარადგინა დამატებითი კომენტარები. გარდა ამისა, სასამართლოს თავისი კომენტარები წარუდგინა საქმეში მესამე მხარედ ჩართულმა გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ, რომელსაც თავმჯდომარემ მისცა უფლება ჩართულიყო წერილობით პროცედურებში (კონვენციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი და რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ერთობლივი კომენტარები წარადგინეს საქმეში მესამე მხარედ ჩართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთაც თავმჯდომარემ მისცა საქმეში მე-3 მხარედ ჩართვის უფლება, სახელდობრ ეს ორგანიზაციები იყო FIDH (*Fédération Internationale des ligues des Droits de l'Homme*), ICJ (იურისტთა საერთაშორისო კომისია), AIRE –ს ცენტრი (ევროპაში ინდივიდუალურ უფლებებთან დაკავშირებით საკონსულტაციო ცენტრი) და ILGA-Europe (საერთაშორისო ლესბოსელთა და გეების ასოციაციათა ევროპული რეგიონი). თავმჯდომარემ ასევე მისცა უფლება ოთხ არასამთავრობო ორგანიზაციას მონაწილეობა მიეღო მოსმენაში.

6. მოსმენა გაიმართა ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2010 წლის 25 თებერვალს (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

სასამართლოს წინაშე გამოცხადდნენ

ა) მთავრობის მხრიდან

ქ-ნი ბ. ოჰმსი, ფედერალური კანცელარიიდან, აგენტის მოადგილე

ქ-ნი გ. პასჩინგერი, ევროპული და საერთაშორისო საკითხების ფედერალური სამინისტრო

ბ-ნი მ. შტორმანი, იუსტიციის ფედერალური სამინისტრო მრჩეველები;

ბ) განმცხადებელთა მხრიდან

ბ-ნი კ. მაიერი

წარმომადგენელი;

ბ-ნი ჰ. სჩალკი

განმცხადებელი;

გ) მესამე მხარედ ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან

ბ-ნი რ. ვინტემუტი, ლონდონის სამეფო კოლეჯი

წარმომადგენელი,

ქ-ნი ა. ჯერნოუ, იურისტთა საერთაშორისო კომისია, მრჩეველი.

სასამართლოს სიტყვით მიმართეს ქ-ნმა ოჰმსმა, ბ-ნმა მეიერმა და ბ-ნმა ვინტემუტმა.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

7. განმცხადებლები დაიბადნენ 1962 და 1960 წლებში. ისინი ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელი წყვილი არიან და ცხოვრობენ ვენაში.

8. 2002 წლის 10 სექტემბერს, განმცხადებლებმა თხოვნით მიმართეს პირადი სტატუსის საკითხებთან დაკავშირებულ სამსახურს (შტანდესამტ), რათა სამსახურს განეხორციელებინა ფორმალური ნაბიჯები და მიეცა წყვილისათვის ქორწინებაში შესვლის შესაძლებლობა.

9. 2002 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვენის მუნიციპალურმა ოფისმა (*Magistrat*) უარი განუცხადა განმცხადებელს ხსენებულ მოთხოვნაზე. სამოქალაქო კოდექსის 44-ე მუხლზე დაყრდნობით (*ალლგემეინეს Bürgerlichges Gesetzbuch*), სასამართლომ განაცხადა, რომ ქორწინება დასაშვებია მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის ორ პირს შორის. მოქმედი პრეცედენტული სამართლის თანახმად, ერთი და იგივე სქესის მქონე ორ პირის ქორწინება დაუშვებელი იყო და ბათილად ითვლებოდა. რადგანაც განმცხადებლები ორივე კაცი იყო, მათ არ გააჩნდათ დაქორწინების უფლება.

10. განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა ვენის გუბერნატორთან (*Landeshauptmann*) თუმცა წარუმატებლად. 2003 წლის 11 აპრილით დათარიღებული გადაწყვეტილებით გუბერნატორმა ძალაში დატოვა მუნიციპალური სამსახურის სამართლებრივი გადაწყვეტილება. დამატებით გუბერნატორმა მიუთითა ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალზე, რომლის თანახმადაც ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლებოდა ფაქტი, როდესაც ორივე პირი ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელი იყო. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-12 მუხლი უზრუნველყოფდა მხოლოდ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლის ქორწინების უფლებას.

11. კონსტიტუციურ სარჩელში განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ სამართლებრივი კუთხით შესაძლებლობის არ ქონა, რომ დაქორწინებულიყვნენ, წარმოადგენდა მათი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევას. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ქორწინების კონცეპცია განვითარდა მას შემდგომ რაც 1812 წელს მიღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსი. კერძოდ, ბავშვის დაბადება და მისი განათლება აღარ წარმოადგენს ქორწინების განუყოფელ ნაწილს. დღეს არსებული მოსაზრებით, ქორწინება უფრო მეტად წარმოადგენს ხანგრძლივ გაერთიანებას, რომელიც ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს. ობიექტური გამართლება არ გააჩნია ერთსქესიანი წყვილებისათვის ქორწინების აკრძალვას, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ სექსუალური ორიენტაციის

საფუძველზე განსხვავება, განსაკუთრებით საფუძვლიან დასაბუთებას მოითხოვდა იმისათვის, რათა ეს განსხვავება გამართლებულად ჩათვლილიყო. სხვა ევროპული სახელმწიფოები ან უშვებდნენ ჰომოსექსუალი წყვილების ქორწინებას ან სხვა გზით ახორციელებდნენ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას ისე, რომ თანაბარი სტატუსი მიენიჭებინათ ერთი და იგივე სქესის მქონე პირების ურთიერთობისათვის.

12. და ბოლოს, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა საკუთრების მშვიდობიანად განკარგვის უფლება. მათი მტკიცებით იმ შემთხვევაში თუკი ჰომოსექსუალი წყვილიდან ერთ ერთი გარდაიცვლებოდა, მეორე პირის მიმართ ხორციელდებოდა დისკრიმინაციული მიდგომა, რადგანაც საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იგი ბევრად არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდებოდა ხოლმე, ვიდრე ქორწინებაში მყოფი პირი, რომელსაც გარდაეცვალა მეუღლე.

13. 2003 წლის 12 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ (*Verfassungsgerichtshof*) უარყო განმცხადებლის სარჩელი. გადაწყვეტილების შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

“ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომლის შედეგადაც გამოტანილ იქნა სადავო გადაწყვეტილება, კონკრეტულად ეხებოდა ქორწინების კანონიერების საკითხს. შესაბამისად, მოსარცელების ერთადერთ პრეტენზიას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამოქალაქო კოდექსის 44-ე მუხლი აღიარებს მხოლოდ “საწინააღმდეგო სქესის პირებს შორის” ქორწინებას. საკუთრების უფლების დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზია, მხოლოდ დამატებითი საშუალებაა იმის სადემონსტრაციოდ, რომ ხსენებულ საკიტხთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიდგომა გაუმართლებელია.

ქორწინებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-12 მუხლის, რომელიც უთანაბრდება კონსტიტუციურ კანონს, თანახმად:

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება, ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას. არც თანასწორობის პრინციპი, რომელიც მოცემულია ავსტრიის ფედერალურ კონსტიტუციაში და არც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (როგორც ამას ამტკიცებს მე-12 მუხლში მოცემული “კაცისა და ქალის” ცნება), არ მოითხოვს, რომ ქორწინების კონცეპცია, რომელიც მშობლად გახდომის ძირითად შესაძლებლობად არის მიჩნეული, განვრცობილ უნდა იქნეს სხვა ტიპის ურთიერთობებზეც. უფრო მეტიც, ქორწინების ძირითად არსზე ზეგავლენას ვერ ახდენს ის ფაქტი, რომ შესაძლებელია გაყრა (ან განცალკევებულად ცხოვრება) და რომ სწორედ მეუღლეების გადასაწყვეტია შეუძლიათ თუ არა მათ ან სურთ თუ არა, რომ ყავდეთ ბავშვები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა

1990 წლის 27 სექტემბერს გამოტანილ *Cossey* –ს საქმეზე (#10843/84, რომელიც ეხებოდა ტრანსექსუალი პირების კონკრეტულ მდგომარეობას), რომ “ტრადიციული” კონცეპციის მიმდევრებით ქორწინების ცნების შეზღუდვა, ობიექტურად იყო გამართლებული. სტრასბურგის სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ

‘... ის მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება ქორწინების ტრადიციულ კონცეპციას, უზრუნველყოფს საკმარის საფუძველს, რათა ქორწინების მიზნებისათვის პირის სქესის განსაზღვრავად დადგენილ იქნეს ბიოლოგიური კრიტერიუმები’.

[პრეცედენტული სამართლის შემდგომი ცვლილება, რომელიც ეხება ტრანსსექსუალთა კონკრეტულ საკითხს (ECHR, *Goodwin*, no. 28957/95 2002 წლის 11 ივლისი) არ იძლევა იმ დასკვნის გამოტანის უფლებას, რომ რაიმე უნდა შეიცვალოს ზოგადად ამ საკითხის შეფასებისას]

ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე სქესის წარმომადგენლების ურთიერთობა ხდება პირადი ცხოვრების კონცეფციის ქვეშ და ამგვარად ასეთი ურთიერთობები დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით – რომელიც ასევე კრძალავს დისკრიმინაციას კონკრეტულ საფუძვლებზე (კონვენციის მე-14 მუხლი) – არ წარმოშობს ქორწინებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შეცვლის ვალდებულებას.

წინამდებარე საქმეში აუცილებელია იმის განხილვა საერთოდ ახდენს თუ არა კანონი გაუმართლებელ დისკრიმინაციას, ან რომელ სფეროებში, ერთი სქესის მქონე პირთა ურთიერთობებისას, იმ ფაქტით, რომ ითვალისწინებს სპეციალურ წესებს დაქორწინებული წყვილებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს ასევე კანონმდებლისათვის რჩევის მიცემა ასევე კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით ან სამართლებრივ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ხსენებული მოსაზრების საპირისპიროდ საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს სარჩელს, რადგანაც იგი დაუსაბუთებელია”.

14.საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა განმცხადებლის წარმომადგენელს 2004 წლის 25 თებერვალს.

II. შესაბამისი ეროვნული და შედარებითი სამართალი

ა. ავსტრიის კანონმდებლობა

1. სამოქალაქო კოდექსი

15. სამოქალაქო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად (*Allgemeines Bürgerliches Gesetzbuch*):

“ქორწინება წარმოადგენს ოჯახური ურთიერთობების საწინდარს. ქორწინებით ორი საწინააღმდეგო სქესის მქონე პირი გამოთქვამს კეთილ ნებას იცხოვრონ ერთად ურღვევ ცოლ-ქმრულ კავშირში, იყოლიონ და გაზარდონ შვილები და დაეხმარონ ერთმანეთს”.

ხსენებულ დებულებაში არ შესულა ცვლილება 1812 წლის 1 იანვრიდან, ანუ მისი მიღების დღიდან.

2. პარტნიორობის რეგისტრირების კანონი

16. პარტნიორობის რეგისტრირების კანონის მიზანი იყო (*Eingetragene Partnerschaft-Gesetz*), ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილების უზრუნველყოფა ისეთი ფორმალური მექანიზმით, რომელიც აღიარებდა და კანონიერ ჩარჩოებში მოაქცევდა მათ ურთიერთობას. ხსენებული კანონის მიღებით, კანონმდებელმა განსაკუთრებულად გაითვალისწინა ის განვითარებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სხვა ევროპულ სახელმწიფოებში (იხ. კანონპროექტთან დაკავშირებული განმარტებითი მოხსენება - *Erläuterungen zur Regierungsvorlage*, 485 *der Beilagen* XXIV GP).

17. პარტნიორობის რეგისტრირების კანონი, ფედერალური სამართლის ჟურნალი *Bundesgesetzblatt*) ვოლ. I, ნო. 135/2009, ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს. ხსენებული კანონის მე-2 მუხლის თანახმად:

“პარტნიორობის რეგისტრირება შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ ერთი სქესის მქონე 2 პირის მიერ (რეგისტრირებული პარტნიორები). ხსენებულის განხორციელებით ისინი იღებენ თავზე ვალდებულებას ჰქონდეთ ხანგრძლივი ურთიერთობა ორმხრივი უფლებებითა და ვალდებულებებით”.

18. რეგისტრირებული პარტნიორობის დამყარებასთან, შედეგებსა და შეწყვეტასთან დაკავშირებული წესები ქორწინებასთან დაკავშირებული წესების ანალოგიურია.

19. რეგისტრირებული პარტნიორობა გულისხმობს პერმანენტულ თანაცხოვრებას და მისი გაფორმება შესაძლებელია ერთი და იგივე სქესის მქონე ორ პირს შორი, რომლებიც არიან ქმედუნარიანნი და მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს (მე-3 ნაწილი). რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლა არ შეიძლება ახლო ნათესავებთან ან იმ პირთან, რომელიც უკვე დაქორწინებულია ან კვლავ გააჩნია ძალაში მყოფი რეგისტრირებული პარტნიორობა სხვა პირთან (მე-5 მუხლი).

20. ისევე როგორც ქორწინებაში მყოფმა პირებმა, ივარაუდება, რომ რეგისტრირებული პარტნიორები იცხოვრებენ ერთად, როგორც მეუღლეები

ყველა გაგებით, გაიზიარებენ საერთო სახლს, პატივისცემით მოეპყრობიან ერთმანეთს და გაუწევენ ურთიერთდახმარებას (მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები). ისევე როგორც მეუღლეთა შემთხვევაში, პარტნიორი, რომელიც უვლის საერთო ქონებას და არ აქვს შემოსავალი, უფლებამოსილია წარმოადგინოს სხვა პარტნიორი ყოველდღიურ სამართლებრივ საკითხებში (მე-10 მუხლი). რეგისტრირებულ პარტნიორებს აკისრიათ იგივე ვალდებულებები ოჯახი რჩენასთან დაკავშირებით, რაც მეუღლეებს (მუხლი 12).

21. რეგისტრირებული პარტნიორების გაუქმების მიზეზები ქორწინების გაუქმების ან გაყრის მიზეზების ანალოგიურია. რეგისტრირებული პარტნიორობის გაუქმება ხდება ერთ-ერთი პარტნიორის სიკვდილის შემთხვევაში (მე-13 მუხლი). გაუქმება ასევე შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებით სხვადასხვა საფუძველზე: რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლის ნების არ არსებობა (მე-14 მუხლი), პარტნიორის ან ორივე პარტნიორის ღალატი, ან პარტნიორობის შეწყვეტა შეუთავსებელი განსხვავებების გამო (მე-15 მუხლი).

22. რეგისტრირებული პარტნიორობის კანონი ასევე მოიცავს არსებულ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა სპექტრს, რათა რეგისტრირებული პარტნიორები უზრუნველყოს იგივე სტატუსით, რა სტატუსიც გააჩნიათ მეუღლეებს სამართლის სხვადასხვა დარგში, როგორც არის მაგალითად მემკვიდრეობითი სამართალი, შრომის სამართალი, სოციალური და სოციალური დაზღვევის სამართალი, ფისკალური სამართალი, ადმინისტრაციულ საპროცესო კანონი, კანონო მონაცემთა დაცვისა და საჯარო სამსახურის შესახებ, პასპორტისა და რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით, ისევე როგორც კანონი უცხოელთა შესახებ.

23. თუმცა, გარდა იმ ფაქტისა, რომ რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლა შეუძლია მხოლოდ ორ, ერთი და იგივე სქესის მქონე, პირს, გარკვეული სხვაობა მაინც არის ქორწინებასა და რეგისტრირებულ პარტნიორობას შორის. შემდეგი სხვაობებმა გამოიწვია საჯარო დისკუსია რეგისტრირებული პარტნიორობის კანონის მიღებამდე: მაშინ როდესაც ქორწინებას არეგისტრირებს პერსონალურ სტატუსთან დაკავშირებული საკითხების სამსახური, რეგისტრირებული პარტნიორობის გაფორმება ხდება რაიონული ადმინისტრაციის ორგანოში. გვარის არჩევასთან მიმართებაში ქორწინებაში მყოფ პირებთან დაკავშირებული წესები განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული: მაგალითად კანონი საუბრობს “მეორე სახელზე” როდესაც რეგისტრირებული წყვილი ირჩევს ერთ გვარს, თუმცა ქორწინებაში მყოფ წყვილთა შემთხვევაში მოხსენიებულია “გვარი”. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი სხვაობა ეხება მშობლის უფლებებს: ქორწინებაში მყოფი წყვილისაგან განსხვავებით, რეგისტრირებულ წყვილებს არ გააჩნიათ ბავშვის აყვანის უფლება; არ არის ასევე ნებადართული გერის შვილება, ანუ ერთი პარტნიორის ბიოლოგიური შვილის შვილება მეორე პარტნიორის მიერ (მე-8

მუხლის მე-4 პუნქტი). ხელოვნური განაყოფიერების შესახებ კანონი (*Fortpflanzungsmedizinengesetz* მე-2 მუხლის პირველი პუნქტი) ასევე გამორიცხავს რეგისტრირებული წყვილიდან რომელიმე პარტნიორის ხელოვნურ განაყოფიერებას.

ბ. შედარებითი სამართალი

1. ევროკავშირის სამართალი

24. ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა წესდება ხელმოწერილ იქნა 2000 წლის 7 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს. ხსენებული წესდების მე-9 მუხლის თანახმად:

“ქორწინებისა და ოჯახის დაარსების უფლება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც აწესრიგებს ხსენებული უფლებების განხორციელებას”.

25. წესდების კომენტარების შესაბამისი ნაწილის თანახმად:

“ზოგიერთ სახელმწიფოში ეროვნული კანონმდებლობის თანამედროვე ტენდენციები და განვითარებები, რომლებიც უკავშირდება ერთი და იგივე სქესის წყვილებთან მიმართებაში უფრო მეტ ღიაობასა და შეწყნარებას, რამოდენიმე სახელმწიფო კვლავაც მისდევს იმ პოლიტიკას და/ან რეგულაციებს, რომლებიც ნათლად კრძალავენ ერთი სქესის წარმომადგენელ პირთა ქორწინების უფლებას. ამჟამად ერთსქესიან პირთა ურთიერთობის აღიარება ძალიან შეზღუდულად ხდება იმ თვალსაზრისით, რომ ერთსქესიან წყვილთა ქორწინება არ არის ხოლმე შესაძლებელი. უმეტესი სახელმწიფოების კანონმდებლობა მოიაზრებს, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, რომ მეუღლეები უნდა იყვნენ სხვადასხვა სქესის. თუმცა, რამოდენიმე ქვეყანაში, მაგალითად ნიდერლანდებსა და ბელგიაში, კანონით აღიარებულია ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილის ქორწინება. სხვა სახელმწიფოებმა, მაგალითად ნორდიკულმა სახელმწიფოებმა, მიიღეს რეგისტრირებული პარტნიორობის კანონმდებლობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს იმას, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული დებულებების უმეტესობა, ე.ი. სამართლებრივი შედეგები, როგორც არის ქონების განაწილება, მემკვიდრეობის უფლება და სხვ. ასევე გამოიყენება რეგისტრირებულ პარტნიორებთან მიმართებაში. ამავე დროს მნიშვნელოვანი იმის აღნიშვნა, რომ სახელწოდება ‘რეგისტრირებული პარტნიორობა’ განგებ იქნა შერჩეული, რათა არ იქნეს იგი აღრეული ქორწინებაში, და რათა იგი ყიფილიყო შემოღებული როგორც პირადი ურთიერთობების აღიარების ალტერნატიული მეთოდი. შესაბამისად, როგორც წესი ეს ახალი ინსტიტუტი ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ წყვილებისათვის,

რომლებსაც არ შეუძლიათ დაქორწინება ხოლო ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა პარტნიორობას არ გააჩნია იგივე სტატუსი და უპირატესობები რაც ქორწინებას. (...)

იმისათვის, რათა მხედველობაში იქნეს მიღებული ქორწინებასთან დაკავშირებით ეროვნული კანონმდებლობათა შორის არსებული სხვაობები, წესდების მე-9 მუხლი უთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე. როგორც ეს ნათლად ჩანს ფორმულირებიდან, ხსენებული დებულება უფრო ფართეა თავისი ფარგლებით, ვიდრე საერთაშორისო აქტებში არსებული შესაბამისი მუხლები. რადგანაც არ ხდება ნათელი მითითება ‘კაცსა და ქალზე’, როგორც ე სარის აღნიშნული ადამიანის უფლებათა სხვა აქტებში, შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ არ არსებობს ბარიერი იმისათვის, რომ აღიარებულ იქნეს ურთიერთობები ერთი და იგივე სქესის წარმომადგენელთა შორის ქორწინების სახით. თუმცა არ არის რაიმე სახის ნათელი მოთხოვნა, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ ხელი უნდ შეუწყოს ასეთ ქორწინებას. საერთაშორისო სასამართლოები და კომიტეტები ჯერ კიდევ ყოყმანობენ ქორწინების უფლების გავრცელებაზე ერთი და იგივე სქესის მქონე პირებთან მიმართებაში. (...)

26. წინამდებარე საქმესთან მიმართებით, საინტერესოა ასევე რამოდენიმე დირექტივის განხილვა:

ევროპული საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის დირექტივა 2003/86/ EC,, ოჯახური ერთიანობის უფლებაზე, ეხება ოჯახური ერთიანობის უფლების განხორციელების პირობებს იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც არიან მე-3 ქვეყნის მოქალაქეები და კანონიერად ცხოვრობენ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ხსენებული დირექტივის მე-4 მუხლი, რომლის სათაურიც არის “ოჯახის წევრები”, აცხადებს:

“(3) წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, კანონის ან რეგულაციის მეშვეობით, ნება დართონ მესამე ქვეყნის მოქალაქე, დაუქორწინებელ პარტნიორს, რომელთანაც სპონსორს გააჩნია ჯეროვნად დამყარებული სტაბილური და ხანგრძლივი ურთიერთობა, ამ მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც დამოკიდებულია სპონსორზე რეგისტრირებული პარტნიორობის შესაბამისად და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რათა იგი შემოვიდეს და იცხოვროს, წინამდებარე დირექტივის შესაბამისად და დირექტივის მე-4 თავში მოცემული პირობების თანახმად ”

ევროპარლამენტის 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/38/ EC, ეხება ევროკავშირის მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებებს, რათა ისინი

თავისუფლად გადაადგილდნენ და იცხოვრონ წვერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ხსენებული დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად:

“(2) ‘ოჯახის წვერი’ ნიშნავს:

(ა) მეუღლეს

(ბ) პარტნიორს, რომელთანაც ევროკავშირის მოქალაქე შესულია რეგისტრირებულ პარტნიორობაში წვერი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, და ეს ხდება მაშინ თუკი მასპინძელი წვერი სახელმწიფოების კანონმდებლობა აცხადებს რეგისტრირებულ პარტნიორობას ქორწინების თანასწორად იმ პირობების შესაბამისად, რომლებიც ჩამოყალიბებულია მასპინძელი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

(გ) პირდაპირ შთამომავლებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ 21 წლის ასაკისათვის ან დამოკიდებულნი არიან, ან არიან მეუღლის ან პარტნიორის შთამომავლები, როგორც ეს განსაზღვრულია ბ პუნქტში

(დ) დამოკიდებულ პირდაპირ ნათესავს აღმავალი ხაზით, ეს ეხებათ ასევე მეუღლის ან პარტნიორის ნათესავებს, როგორც ეს განსაზღვრულია ბ პუნქტში.”

2. ევროპის საბჭოს წვერი სახელმწიფოებში არსებული შესაბამისი კანონმდებლობა

27. ამ ეტაპზე ორმოცდაშვიდი სახელმწიფოდან შვიდი სახელმწიფო ანიჭებს ერთი სქესის მქონე წყვილებს თანაბარ ხელმისაწვდომობას ქორწინებაზე, სახელდობრ, ბელგია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი და შვედეთი.

28. გარდა ხსენებულისა, ასევე არის 13 წვერი სახელმწიფო, რომლებიც მართალია არ ანიჭებენ ერთი და იგივე სქესის მქონე პირებს ქორწინების უფლებას, მაგრამ მიღებული აქვთ გარკვეული კანონმდებლობა, რომელიც უფლებას აძლევს ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს დაარეგისტრონ თავიანთი ურთიერთობა: ანდორა, ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი, სლოვენია, შვეიცარია და გაერთიანებული სამეფო. ჯამში არსებობს 19 სახელმწიფო, რომელშიც ერთ სქესის მქონე წყვილებს ეძლევათ ან ქორწინების ან რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლის შესაძლებლობა (იხ. სასამართლოს ანალიზი საქმეში *Burden v. the United Kingdom* [GC], no. 13378/05, § 26, ECHR 2008).

29. ორ სახელმწიფოში, სახელდობრ ირლანდიასა და ლიხტენშტეინში მიმდინარეობს ან დაგეგნილია საკანონმდებლო რეფორმა, რომლის თანახმადაც ერთი სქესის პირებს მიენიჭებათ უფლება შევიდნენ რეგისტრირებულ პარტნიორობაში. ასევე ხორვატიას გააჩნია კანონი ერთი და იგივე სქესის გაერთიანებების შესახებ, რომელიც აღიარებს ერთი სქესის წყვილების თანაცხოვრებას შეზღუდული მიზნებისათვის, თუმცა არ ანიჭებს მათ რეგისტრაციის უფლებას.

30. სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად, შესაბამისი სახელმწიფოების უმრავლესობამ მიიღო ხსენებული კანონები გასულ ათწლეულში.

31. რეგისტრირებული პარტნიორობის სამართლებრივი შედეგები განსხვავდება: ზოგ ქვეყანაში ისინი ქორწინების აბსოლუტური ანალოგია, ხოლო ზოგ ქვეყანაში რეგისტრირებულ პარტნიორებს უფრო შეზღუდული უფლებები გააჩნიათ. რეგისტრირებული პარტნიორობიდან წარმოშობილ სამართლებრივ შედეგებს შორის, შესაძლებელია სამი უმტავრესი კატეგორიის განსხვავება: მატერიალური შედეგები, მშობლობასთან დაკავშირებული შედეგები და სხვა შედეგები.

32. მატერიალური შედეგები მოიცავს იმ ზეგავლენას, რომელსაც ახდენს რეგისტრირებული პარტნიორობა სხვადასხვა სახის გადასახადზე, ჯანმრთელობის დაზღვევაზე, სოციალური ანარიცხების შეტანასა და პენსიაზე. შესაბამისი სახელმწიფოების უმეტესობაში, რეგისტრირებული პარტნიორი იღებს ქორწინებაში მყოფი პირის ანალოგიურ სტატუსს. ხსენებული ასევე ეხება მატერიალურ შედეგებსაც, როგორც არის საერთო საკუთრებასა და ვალთან დაკავშირებული რეგულაციები, გაყრის შემთხვევაში ალიმენტთან დაკავშირებული წესები, კომპენსაციის უფლება პარტნიორის ძალადობითი გარდაცვალების შემთხვევაში და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული უფლებები.

33. თუმცა, როდესაც საქმე ეხება მშობლობასთან დაკავშირებულ შედეგებს რეგისტრირებული პარტნიორების შესაძლებლობა, რომ სამედიცინო დახმარების შედეგად გაიკეთონ ხელოვნური განაყოფიერება, ან იშვილონ ან აიყვანონ ბავშვები, სხვადასხვანაირად არის რეგულირებული ქვეყნებში.

34. სხვა შედეგები მოიცავს პარტნიორის გვარის გამოყენებას, უცხოელი პარტნიორის მიერ ცხოვრების უფლებისა და მოქალაქეობის მიღებას, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, ახლო ნათესავის სტატუსი სამედიცინო მიზნებისათვის, მფლობელის განგრძობადი სტატუსი პარტნიორის გარდაცვალების შემდგომ და ორგანოების კანონიერი დონაცია.

I. მთავრობის მოთხოვნა განსახილველ საქმეთა სიიდან განაცხადის ამოღებასთან დაკავშირებით

35. ზეპირი კომენტარების წარდგენისას მთავრობა ამტკიცებდა, რომ რეგისტრირებული პარტნიორობის კანონი უფლებას აძლევდა ერთი სქესის მქონე წყვილებს მიეღოთ სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნებოდა სხვადასხვა სქესის მქონე პირთა ქორწინების სტატუსთან. მთავრობის მოსაზრებით შეიძლებოდა ჩათვლილიყო, რომ საკითხი მოგვარებულია და რომ გამართლებულად უნდა მიჩნეულიყო განაცხადის ამოღება განსახილველ საქმეთა სიიდან. მთავრობა ეყრდნობოდა კონვენციის 37-ე მუხლის 1-ელ პუნქტს, რომლის თანახმადაც:

1. “სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, ამორიცხოს განაცხადი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუკი გარემოებები მიიყვანს მას იმ დასკვნამდე, რომ:

ა) ...

ბ) დავა გადაწყდა; ან

ც) ...

თუმცა, სასამართლო განაგრძობს განაცხადის განხილვას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამას მოითხოვს.

36. იმისათვის, რათა დადგინდეს, რომ კონვენციის 37-ე მუხლის 1 (ბ) პუნქტი გამოიყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებაში, სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს 2 კითხვას: პირველ რიგში სასამართლომ უნდა გამოარკვიოს კვლავაც არსებობს თუ არა ის გარემოებები, რომლებთან მიმართებაშიც განმცხადებელს გააჩნდა პრეტენზიები და მეორე, ამ გარემოებების შედეგად, კონვენციის შესაძლო დარღვევით გამოწვეული შედეგები იქნა თუ არა გამოსწორებული (იხ. *Shevanova v. Latvia* (striking out) [GC], no. 58822/00, § 45, 2007 წლის 7 დეკემბერი).

37. სასამართლო აცხადებს, რომ განმცხადებლების უმთავრესი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ იყვნენ რა ერთი სქესის მქონე წყვილი, მათ არ შეეძლოთ დაქორწინება. ხსენებული სიტუაცია გაგრძელდა მას შემდგომაც რაც ძალაში შევიდა კანონი რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ. როგორც ეს თავად მთავრობამ აღნიშნა, ხსენებული კანონი უფლებას აძლევს წყვილებს რომ მხოლოდ მოიპოვონ სტატუსი, რომელიც უთანაბრდება ქორწინებას,

მაგრამ არ იძლევა ქორწინების უფლებას, რომელში შესვლაც მხოლოდ სხვადასხვა სქესის მქონე წყვილებს შეუძლიათ.

38. სასამართლო ასკვნის, რომ განსახილველ საქმეთა სიიდან საქმის ამოღების კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული და ამიტომ მთავრობის მოთხოვნა უარყოფით უნდა იქნეს.

II. კონვენციის მე-12 მუხლის დარღვევა

39. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ მათ დაქორწინებაზე ნათქვამმა უარმა დაარღვია კონვენციის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც:

“საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება, ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც აწესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.”

მთავრობა არ დაეთანხმა ხსენებულ არგუმენტს.

ა. დაშვებადობა

40. სასამართლო აცხადებს, რომ მთავრობამ წამოჭრა ის საკითხი საერთოდ ხვდებოდა თუ არა განმცხადებლის საჩივარი მე-12 მუხლის მოქმედების ფარგლებში, რადგანაც ორივე განმცხადებელი, რომელიც ჩიოდა ქორწინების უფლების დარღვევასთან დაკავშირებით იყო კაცი. თუმცა მთავრობა არ ამტკიცებდა იმას, რომ განაცხადი დაუშვებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული *ratione materiae* პრინციპთან შეუთავსებლობის გამო. სასამართლო თანხმობას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებული საკითხი საკმარისად რთულია იმისათვის, რომ მისი განხილვა არ მოხდეს დაშვებადობის სტადიაზე.

41. მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ პრეტენზია, კონვენციის განმარტების კუთხით, წამოჭრის ფაქტებსა და სამართალთან დაკავშირებულ სერიოზულ საკითხებს, რომელთა გაანალიზებაც საჭიროებს საქმის არსებითად განხილვას. ამიტომაც სასამართლო ასკვნის, რომ ხსენებული პრეტენზია არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. სასამართლო ვერ პოულობს ასევე სხვა საფუძვლებს, რათა განაცხადი გამოაცხადოს არსებით განხილვაზე დაუშვებლად.

ბ. არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტები

42. მთავრობამ მიუთითა წინამდებარე საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ ხსენებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ გაითვალისწინა სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და ვერ დაადგინა კონვენციით გარანტირებული განმცხადებლის უფლების დარღვევა.

43. სასამართლოს წინაშე წარდგენილ ზეპირ არგუმენტაციაში, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მე-12 მუხლის ნათელი დებულება და არსებული პრეცედენტული სამართალი, უთითებდა იმაზე, რომ ქორწინების უფლება თავისი არსით გააჩნდათ მხოლოდ სხვადასხვა სქესის მქონე წყვილებს. მთავრობა ამტკიცებდა, რომ კონვენციის მიღების შემდგომ მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება განიცადა ქორწინების ინსტიტუტმა, მაგრამ ჯერ არ იყო დამკვიდრებული ევროპული კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით უნდა მიცემოდათ თუ არა ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს ქორწინების უფლება, ასეთი დასკვნის გამოტანა არ შეიძლებოდა ასევე ფუნდამენტური უფლებების შესახებ ევროპული წესდების მე-9 მუხლიდანაც. მიუხედავად დებულებებში არსებული სხვაობისა, ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა ქორწინებასთან დაკავშირებით, ევროპული წესდებაც მითითებას აკეთებდა ეროვნულ კანონმდებლობაზე.

44. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში, სამოქალაქო ქორწინება წარმოადგენდა ორი პირის ერთობას, რომელიც მოიცავდა მათი ცხოვრების ყველა ასპექტს, მაშინ როდესაც ბავშვების ყოლა და მათი აღზრდა აღარ წარმოადგენდა გადამწყვეტ ელემენტს. რადგანაც ქორწინების ინსტიტუტმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, აღარ არსებობდა რაიმე მიზეზი, რომ უარი ყოფილიყო ნათქვამი ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებისათვის მათ ქორწინებაზე. მე-12 მუხლის დებულება არ უნდა ყოფილიყო აუცილებლად წაკითხული იმ გაგებით, რომ კაცსა და ქალს გააჩნდათ მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელზე ქორწინების უფლება. გარდა ამისა განმცხადებლები თვლიდნენ, რომ მე-12 მუხლის დებულება “ეროვნული კანონმდებლობა” არ შეიძლება ნიშნავდეს, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ შეუზღუდავი დისკრეცია ქორწინების უფლების რეგულირებასთან დაკავშირებით.

2. საქმეში მესამე მხარედ ჩართულთა არგუმენტები

45. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ არსებული პრეცედენტული სამართლის თანახმად კონვენციის მე-12 მუხლი მითითებას აკეთებდა “საწინააღმდეგო ბიოლოგიური სქესის მქონე ორი პირის ტრადიციულ ქორწინებაზე” (*Sheffield and Horsham v. the United Kingdom*, 1998

წლის 30 ივლისი, § 66, *Reports of Judgments and Decisions* 1998-V). მთავრობის აზრით არ არსებობდა რაიმე მიზეზი, რომ ხსენებული პოზიციიდან გადახვევა განხორციელებულიყო.

46. მართალია სასამართლო ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ კონვენცია იყო სიცოცხლისუნარიანი დოკუმენტი, რომლის განმარტებაც უნდა მომხდარიყო დღეისათვის არსებული პირობების შესაბამისად, სასამართლო ხსენებულ მიდგომას იყენებდა მხოლოდ საკუთარი იურისპრუდენციის განსავითარებლად ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, სადაც იგი დარწმუნებული იყო, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის იყო სტანდარტების ურთიერთთანხვედრა. მაგალითად საქმეში (*Christine Goodwin v. the United Kingdom* [GC] (no. 28957/95, ECHR 2002-VI), სასამართლომ გადასინჯა დადგენილი პოზიცია იმ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო თუ არა ოპერაციის გაკეთების შემდგომ ტრანსსექსუალის დაქორწინება იმ პირზე, რომელსაც გააჩნდა ამ პირის მიერ ახლად შეძენილი გენდერის საწინააღმდეგო სქესი. სასამართლოს მიერ პოზიციის გადასინჯვას წინ უძღოდა იმ ფაქტის მხედველობაში მიღება, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმრავლესობა იძლეოდა ასეთი სახის ქორწინების ნებართვას. ხსენებულის საპირისპიროდ სახეზე არ გვაქვს სტანდარტების თანხვედრა ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა ქორწინებასთან დაკავშირებით. იმ დროისათვის, როდესაც საქმეში მე-3 მხარედ ჩართულმა მთავრობამ წარმოადგინა თავისი კომენტარები, მხოლოდ 3 წევრი სახელმწიფო აძლევდნენ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს ქორწინების უფლებას, ხოლო 2 სხვა ქვეყანაში კი განიხილებოდა ანალოგიური უფლების მინიჭება. ერთი და იგივე სქესის მქონე მქონე პირთა ქორწინება წარმოადგენდა სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური პოლემიკის მგრნობიარე ასპექტს. კონსენსუსის არ არსებობის ფონზე, სახელმწიფოები განსაკუთრებით ფართე შეფასების თავისუფლების სარგებლობდნენ.

47. ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოუწოდა სასამართლოს გამოეყენებინა ეს შანსი და განევრცო სამოქალაქო ქორწინებაზე ხელმისაწვდომობა ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებისათვისაც. ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სქესის მქონე წყვილებს შეეძლოთ ქორწინება, მაშინ როდესაც ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს არ გააჩნდათ ანალოგიური შესაძლებლობა, წარმოადგენდა განსხვავებულ მოპყრობას, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე. ეყრდნობოდნენ რა საქმეს *Karner v. Austria*, (no. 40016/98, § 37, ECHR 2003-IX), ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ ასეთი გასნხვავება გამართლებული შეიძლება ყოფილიყო “განსაკუთრებით სერიოზული მიზეზებით”. მათი აზრით არ არსებობდა რაიმე ასეთი მიზეზი: ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებისათვის ქორწინების აკრძალვა არ ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ დაცული ყოფილიყო ქორწინება ან ოჯახი მისი ტრადიციული გაგებით. ერთი და იგივე სქესის მქონე პირებისათვის ქორწინების უფლების მინიჭება არ გამოიწვევდა ქორწინების, მისი ტრადიციული გაგებით, მნიშვნელობისა და ღირებულების დაკარგვას. უფრო

მეტიც, ქორწინების ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და როგორც ეს სასამართლომ განმარტა *Christine Goodwin* -ის საქმეში (იხ. ზემოთ \$98), შვილების გაჩენის შესაძლებლობის არ ქონა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს პერ სე ქორწინების უფლების ჩამორთმევის საფუძვლად. ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია ამტკიცებდა, რომ განსხვავება წინამდებარე საქმესა და ჩპრისტინე გოდვინ -ის საქმეს შორის მდგომარეობდა მხოლოდ ევროპული კონსენსუსის არ არსებობაში ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, ორგანიზაციების ამტკიცებდნენ, რომ განსხვავებული მოპყრობისათვის რაიმე სახის მიზნისა და რაციონალური გამართლების არ არსებობის ფონზე, გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა ევროპულ კონსენსუსს.

48. და ბოლოს, ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიუთითა სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს, კანადაში ონტარიოსა და ბრიტანეთის კოლუმბიის სააპელაციო სასამართლოების; შეერთებული შტატების კალიფორნიის, კონექტიკუტის, აიოვასა და მასაჩუსეტსის უზენაესის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, რომლებმაც დაადგინეს, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე პირებისათვის სამოქალაქო ქორწინებაში შესვლაზე უარის თქმა დისკრიმინაციული ხასიათის იყო.

3. სასამართლოს შეფასება

ა. ზოგადი პრინციპები

49. სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, მე-12 მუხლი უზრუნველყოფს მამაკაცისა და ქალის ქორწინებისა და ოჯახის დაარსების ფუნდამენტურ უფლებას. ხსენებული უფლების განხორციელება იწვევს პირად, სოციალურ და სამართლებრივ შედეგებს. ხსენებული “ექვემდებარება ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობას”, მაგრამ კანონმდებლობით დადგენილმა შეზღუდვებმა არ უნდა ხელყოს ან დააკნინოს ხსენებული უფლება იმგვარად ან იმ დონემდე, რომ ხელყოფილ იქნეს ხსენებული უფლების ძირითადი არსი (იხ. *B. and L. v. the United Kingdom*, no. 36536/02, § 34, 2005 წლის 13 სექტემბერი, და *F. v. Switzerland*, 1987 წლის 18 დეკემბერი, § 32, Series A no. 128).

50. პირველ ეტაპზე სასამართლო აცხადებს, რომ მას ჯერ ჯეროებით არ ჰქონია შესაძლებლობა განეხილა ის საკითხი აქვთ თუ არა ორი ერთი და იგივე სქესის მქონე პირს უფლება, რომ დაქორწინდნენ. თუმცა, გარკვეული პრინციპების ამოკითხვა შესაძლებელია სასამართლოს მიერ ტრანსექსუალებთან დაკავშირებით დადგენილი პრეცედენტული სამართლიდან.

51. გარკვეულ საქმეებში საკითხი ეხებოდა ოპერაციის შემდგომ ტრანსექსუალს შეეძლო თუ არა ქორწინება (ახლად შეძენილი სქესის) საწინააღმდეგო სქესის მქონე პირზე ქორწინება და ხელისუფლების მიერ უარის თქმის შემთხვევაში

არღვევდა თუ არა ხსენებული კონვენციის მე-12 მუხლს. ადრე მიღებულ პრეცედენტულ სამართალში, სასამართლომ დაადგინა, რომ ქორწინების ტრადიციული კონცეპციისათვის, რომელიც საფუძვლად უდევს მე-12 მუხლს, განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება წარმოადგენდა საკმარის მიზეზს, იმისათვის, რომ სახელმწიფოებს დაედგინათ ბიოლოგიური კრიტერიუმები ქორწინების მიზნით პირის სქესის განსაზღვრისათვის. შესაბამისად, ხსენებული ჩაითვა, რომ ხვდება ხელშემკვრელი სახელმწიფოს დისკრეციაში და სწორედ სახელმწიფოს მიენიჭა უფლება ეროვნული კანონმდებლობით დაერეგულირებინა ქორწინების უფლება (იხ. *Sheffield and Horsham* -ის ზემოხსენებული გადაწყვეტილება, § 67; *Cossey v. the United Kingdom*, 1990 წლის 27 სექტემბერი, § 46, Series A no. 184; 184; იხ. ასევე *Rees v. the United Kingdom*, 1986 წლის 17 ოქტომბერი, §§ 49-50, Series A no. 106).

52. ზემოხსენებულ *Christine Goodwin* -ის საქმეში (100-104), სასამართლომ შეცვალა ადრე დადგენილი პრეცედენტული სამართალი: სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-12 მუხლის დებულებები, რომლებიც უთითებდნენ კაცისა და ქალის დაქორწინების უფლებაზე, აღარ უნდა ყოფილიყო აღქმული იმგვარად, რომ ეს კონცეპციები მხოლოდ ბიოლოგიური კრიტერიუმებით განსაზღვრავენ გენდერს. ხსენებულ კონტექსტში, სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მიღების შემდგომ ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებს ქორწინების ინსტიტუტთან დაკავშირებით. გარდა ხსენებულისა, სასამართლომ მიუთითა ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების წესდების მე-9 მუხლზე, რომელიც განსხვავდებოდა კონვენციის მე-12 მუხლის დებულებებისაგან. და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მრავალი სახელმწიფო უშვებდა ტრანსექსუალების ქორწინებას იმ სქესით, რომელიც მათ მიიღეს. ბოლოს კი სასამართლომ დაადგინა, რომ ოპერაციის შემდგომ ტრანსექსუალისათვის იმ შესაძლებლობის არ მინიჭება, რომ იგი ქორწინებაში შესულიყო ახლად ჩამოყალიბებული სქესის საწინააღმდეგო სქესის მქონე პირთან, არღვევდა კონვენციის მე-12 მუხლს.

53. ორი შემდგომი საქმე ასევე იწვევს საინტერესოა ამ საკითხთან დაკავშირებით: (*Parry v. the United Kingdom* (dec.), no. 42971/05, ECHR 2006-XV, and *R. and F. v. the United Kingdom* (dec.), no. 35748/05, 2006 წლის 28 ნოემბერი). ორივე საქმეში განმცხადებლები დაქორწინებული წყვილი იყო, ერთი მათგანი იყო ქალი, ხოლო მეორე კი ოპერაციის შედეგად ქალად გარდაქმნილი კაცი ტრანსექსუალი. ისინი ჩიოდნენ ინტერ ალია კონვენციის მე-12 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, რადგანაც მათ ეთხოვებოდათ ქორწინებიდან გასვლა, თუკი მეორე განმცხადებელი მოისურვებდა მოეპოვებინა თავისი გენდერის ცვლილების სრულფასოვანი აღიარება. სასამართლომ უარყო ხსენებული პრეტენზია აშკარა დაუსაბუთებლობის გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა იძლეოდა ქორწინების უფლებას მხოლოდ საწინააღმდეგო სქესის მქონე პირებს შორის, მიუხედავად იმისა ასეთი სქესი პირს დაბადებიდანვე ჰქონდა თუ გენდერის აღიარების

პროცედურის შესაბამისად მიენიჭა, ხოლო ერთი სქესის მქონე პირებს არ გააჩნდათ ქორწინების უფლება. ანალოგიურად მე-12 მუხლი მოიაზრებდა ქორწინების ტრადიციულ კონცეპციას, ანუ ქორწინებას კაცსა და ქალს შორის. სასამართლომ აღიარა, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოების გარკვეულმა რაოდენობამ ქორწინების უფლება დართო ერთი და იგივე სქესის მქონე პარტნიორებს, მაგრამ სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ხსენებული წარმოადგენდა მათ შეხედულებას თავიანთ საზოგადოებაში ქორწინების როლთან დაკავშირებით და არ გამომდინარეობდა ფუნდამენტური უფლების ინტერპრეტაციიდან, რომელიც ჩამოაყალიბეს ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა კონვენციაში 1950 წელს. სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების ფარგლებში ხვდებოდა ის საკითხი თუ როგორ დაერეგულირებინა ის გავლენა, რომელიც შეეძლო გენდერის შეცვლას მოეხდინა ადრე არსებულ ქორწინებაზე. სასამართლომ დამატებით განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუკი წყვილი მიიღებს გაქორწინების გადაწყვეტილებას იმ მიზნით, რომ ტრანსსექსუალმა პარტნიორმა მიაღწიოს თავისი გენდერის სრულყოფილ აღიარებას, ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს გააჩნდათ სამოქალაქო პარტნიორობაში შესვლის შესაძლებლობა ხელს უწყობდა გენდერის აღიარების რეჟიმის, რომელთან მიმართებაშიც განმცხადებელს გააჩნდა პრეტენზიები, პროპორციულობას.

ბ. ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

54. სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-12 მუხლი ქორწინების უფლებას უზრუნველყოფს “კაცისა და ქალისათვის”. ამ მუხლის ფრანგული ვერსიის თანახმად “*l’homme et la femme ont le droit de se marier*”. ამასთანავე მე-12 მუხლი უზრუნველყოფს ოჯახის შექმნის უფლებას.

55. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ხსენებული დებულება აუცილებლად არ გულისხმობს, რომ მხოლოდ კაცს შეუძლია ქალზე და ქალს კაცზე. სასამართლო აცხადებს, რომ თუ იზოლირებულად განვიხილავთ, მე-12 მუხლის დებულება შეიძლება განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ არ გამორიცხავდეს ქორწინებას ორ კაცსა თუ ორ ქალს შორის. თუმცა, ხსენებულის საპირისპიროდ კონვენციის ყველა სხვა მუხლი უზრუნველყოფს უფლებებსა და თავისუფლებებს “ყველასათვის” ან აცხადებს, რომ “არავინ” უნდა დაექვემდებაროს გარკვეული ტიპის აკრძალულ მოპყრობას. შესაბამისად უნდა ჩაითვალოს რომ მე-12 მუხლის დებულება განგებ იქნა სიტყვების ასეთი თანწყობით წარმოდგენილი. უფრო მეტიც, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ისტორიული კონტექსტი, რომელშიც კონვენცია ქინა მიღებული. 1950 იან წლებში ქორწინება აღქმულ იყო ტრადიციული გაგებით ანუ როგორც კავშირს სხვადასხვა სქესის მქონე პარტნიორებს შორის.

56. რაც შეეხება კავშირს ქორწინების უფლებასა და ოჯახის შექმნის უფლებას შორის, სასამართლომ უკვე განაცხადა, რომ ის ფაქტი, რომ რომელიმე წყვილს არ შეუძლია ბავშვის ჩასახვა ან მოვლა, არ შეიძლება წარმოადგენდეს *per se* ქორწინების უფლების ჩამორთმევის საფუძველს (ზემოხსენებული *Christine Goodwin* ის საქმე § 98). თუმცა ხსენებულის საფუძველზე არ შეიძლება რაიმე დასკვნის გამოტანა ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა ქორწინებასთან დაკავშირებით.

57. ნებისმიერ შემთხვევაში განმცხადებლები არ ეყრდნობიან მხოლოდ და მხოლოდ მე-12 მუხლის ტექსტის ინტერპრეტაციას. ძირითადად ისინი ეყრდნობიან სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს, რომლის თანახმადაც კონვენცია წარმოადგენს სიცოცხლისუნარიან აქტს და იგი განმარტებულ უნდა იქნეს დღესდღეისობით არსებული გარემოებების შესაბამისად (*E.B. v. France* [GC], no. 43546/02, § 92, ECHR 2008 ..., და *Christine Goodwin* -ის ზემოხსენებული საქმე §§ 74-75). განმცხადებლის მტკიცებით დღეს არსებული გარემოებების კონტექსტში მე-12 მუხლი იმგვარად უნდა იქნეს წაკითხული, რომ აძლევდეს ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს ქორწინების უფლებას ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავალდებულებდეს სახელმწიფოს უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობით ქორწინებაზე ხელმისაწვდომობა.

58. სასამართლო ვერ იქნა დარწმუნებული განმცხადებლების ამ არგუმენტის ჭეშმარიტებაში. მართალია, როგორც ეს სასამართლომ განმარტა *Christine Goodwin* -ის საქმეში ქორწინების ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გაიარა კონვენციის მიღების შემდგომ, მაგრამ სასამართლო აცხადებს, რომ არ არსებობს ევროპული კონსენსუსი ერთი და იგივე სქესის მქონე პირების ქორწინებასთან მიმართებით. ამჟამად 47 სახელმწიფოდან მხოლოდ 6 სახელმწიფო ანიჭებს ქორწინების უფლებას ერთი და იგივე სქესის მქონე პირებს (იხ. 27-ე პუნქტი).

59. როგორც ეს მოპასუხე მთავრობამ, ისევე როგორც საქმეში მესამე მხარედ ჩართულმა მთავრობებმა, განმარტეს წინამდებარე საქმე უნდა განვასხვავოთ *Christine Goodwin* -ის საქმისაგან. ხსენებულ საქმეში (პუნქტი 103) სასამართლომ დაადასტურა, რომ სახეზე იყო სტანდარტების თანხვედრა ტრანსსექსუალების, ახლად შეძენილი სქესით, ქორწინებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც *Christine Goodwin* -ის საქმე ეხება განსხვავებული გენდერის მქონე პარტნიორებს, თუკი გენდერს მხოლოდ წმინდა ბიოლოგიური კრიტერიუმით კი არ განვსაზღვრავთ, არამედ მხედველობაში მივიღებთ სხვა ფაქტორებს, მათ შორის ერთ-ერთი პარტნიორი მიერსქესის შეცვლას.

60. თუკი დავუბრუნდებით იმ საკითხს რომ შევადაროთ ერთმანეთს კონვენციის მე-12 მუხლი და ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების წესდების მე-9 მუხლი (წესდება), სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ წესდებაში განგებ არ არის მოხსენიებული კაცი და ქალი (იხ. *Christine Goodwin* -ის საქმე პუნქტი 100). წესდების კომენტარები, რომელიც სამართლებრივად

სავალდებულო გახდა 2009 წლის დეკემბერში, ადასტურებს, რომ მე-9 მუხლი უფრო ფართოა ვიდრე ადამიანის უფლებათა სხვა აქტებში არსებული შესატყვისი მუხლები (იხ. 25-ე პუნქტი). ამავე დროს ეროვნულ კანონმდებლობაზე მითითება წარმოაჩენს ეროვნული რეგულაციების ნაირსხვაობას და ხსენებული რეგულაციების თანახმად ზოგიერთი მათგანი ანიჭებს ერთი და იგივე სქესის მქონე პირებს ქორწინების უფლებას ხოლო ზოგიერთი ნათლად კრძალავს ასეთ ქორწინებას. ეროვნულ კანონმდებლობაზე მითითების გაკეთებით, წესდების მე-9 მუხლი სახელმწიფოებს უტოვებს იმის უფლებას, რომ მიიღონ გადაწყვეტილება მიანიჭონ ერთი და იგივე სქესის მქონე პირებს ქორწინების უფლება თუ არა. კომენტარების თანახმად: "... შეიძლება იმის მტკიცება რომ არ არსებობს რაიმე სახის ბარიერი რათა აღიარებულ იქნეს ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა ურთიერთობები ქორწინების სახით. თუმცა არ არსებობს ნათელი მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა გააადვილოს ასეთი სახის ქორწინება. "

61. ამიტომაც ითვალისწინებს რა წესდების მე-9 მუხლს სასამართლო აღარ მიიჩნევს, რომ ქორწინების უფლება, რომელიც მოცემულია კონვენციის მე-12 მუხლით, ყველა სიტუაციაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მხოლოდ ორ საწინააღმდეგო სქესის მქონე პირთა შორის. შესაბამისად არ შეიძლება იმის თქმა, რომ მე-12 მუხლი არ მოქმედებს წინამდებარე განაცხადთან მიმართებაში. თუმცა არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, იმ საკითხის გადაწყვეტის პრივილეგია, მიეცეთ თუ არა უფლება ერთი და იგივე სქესის მქონე პირებს ქორწინების უფლება, მინიჭებული აქვთ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს და სწორედ მათ უნდა განსაზღვრონ ეს თავიანთი კანონმდებლობით.

62. ხსენებულთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ქორწინებას გააჩნია ძირძველი სოციალური და კულტურული მნიშვნელობა და ხსენებული შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვადასხვა საზოგადოებაში. სასამართლო იმეორებს, რომ მან არ უნდა იჩქაროს და თავისი გადაწყვეტილებით არ უნდა ჩაანაცვლოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები, რადგანაც სწორედ ეროვნულ ორგანოებს ძალუბთ უკეთ შეაფასონ და დააკმაყოფილონ საზოგადოების საჭიროებები (*B. and L. v. the United Kingdom*, ზემოხსენებული საქმე, § 36).

63. და ბოლოს სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-12 მუხლი არ აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოებს ვალდებულებას მიანიჭონ ერთი და იგივე სქესის მქონე პირებს, ანუ განმცხადებლების მაგვარ წყვილებს, ქორწინების უფლება.

64. შესაბამისად ადგილი არ ქონია კონვენციის მე-12 მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან კავშირში, სავარაუდო დარღვევა

65. მე-14 მუხლზე, მე-8 მუხლთან კავშირში, დაყრდნობით განმცხადებლები ჩიოდნენ რომ განხორციელდა მათი დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, რადგანაც მათ შეეზღუდათ ქორწინების უფლება და არ გააჩნდათ სხვა რაიმე შესაძლებლობა რომ რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ აქტის ძალაში შესვლამდე მათი ურთიერთობები აღიარებული ყოფილიყო რაიმე სახით მოქმედი კანონმდებლობით.

კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად:

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად:

“ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად”

ა. დაშვებადობა

1. სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების ამოწურვა

66. წერილობით კომენტარებში მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების ეროვნული ორგანოების წინაშე განმცხადებლები დაობდნენ მხოლოდ ქორწინების შესაძლებლობის არქონასთან დაკავშირებით. ნებისმიერი სხვა პრეტენზია, რომელიც წამოჭრილ იქნა სასამართლოს წინაშე აშკარად ან ნაგულისხმევად, როგორც არის მაგალითად განმცხადებლების ურთიერთობის ალტერნატიული სამართლებრივი აღიარება, დაუშვებლად უნდა გამოცხადებულიყო სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების არ ამოწურვის გამო. თუმცა, მთავრობა არ დაყრდნობია აშკარად ხსენებულ

არგუმენტს სასამართლოს წინაშე წარდგენილი ზეპირი კომენტარებისას. ხსენებულის საპირისპიროდ მთავრობა ამტკიცებდა, რომ რეგისტრირებული პარტნიორობის საკითხი უნდა მიჩნეულიყო წინამდებარე განაცხადის განუყოფელ ასპექტად.

67. განმცხადებლები არ ეთანხმებოდნენ მთავრობის მიერ ეროვნული საშუალების არ ამოწურვასთან დაკავშირებულ არგუმენტს და ამტკიცებდნენ, რომ ის ასპექტი, რომ მოხდა მათი დისკრიმინირება მხოლოდ იმის გამო რომ ისინი იყვნენ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილი, წარმოადგენდა მათი განაცხადის განუყოფელ ნაწილს და საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე წარდგენილ სარჩელში ისინი დაეყრდნენ ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს მე-14 მუხლთან (მე-8 მუხლთან კავშირში) მიმართებით.

68. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოითხოვს, რომ ის პრეტენზიები, რომელთა წარდგენაც იგეგმება სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, უწინარესად წარდგენილ იქნეს ეროვნული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე, სულ მცირე უნდა მოხდეს ამ პრეტენზიების არსის წარდგენა და ეს უნდა განხორციელდეს ფორმალური მოთხოვნებისა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად (*Akdivar and Others v. Turkey*, 1996 წლის 16 სექტემბერი, § 66, *Reports of Judgments and Decisions* 1996-IV 1996 IV).

69. წინამდებარე საქმეში ეროვნული სამართალწარმოება უკავშირდებოდა ხელისუფლების ორგანოების მიერ განმცხადებლებისათვის ქორწინებაზე უარის თქმას. რაც შეეხება რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლის შესაძლებლობას, ხსენებული არ არსებობდა იმ დროისათვის და შესაბამისად ძალზე რთულია იმის განსაზღვრა თუ როგორ შეეძლოთ განმცხადებლებს თავიანთი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების საკითხის წამოჭრა, თუ არა იმ გზით, რომ მოეთხოვათ ქორწინება. შესაბამისად განმცხადებლების კონსტიტუციური სარჩელიც ფოკუსირებას ახდენდა ქორწინების შესაძლებლობის არ ქონაზე. თუმცა განმცხადებლები, სულ მცირე არსებითად ასევე ჩიოდნენ, რომ მა თარ გააჩნდათ შესაძლებლობა რაიმე სხვა გზით ყოფილიყო სამართლებრივად აღიარებული მათი ურთიერთობა. ამგვარად საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნდა შესაძლებლობა განეხილა ხსენებული საკითხი და მართლაც სასამართლო მოკლედ გასცა პასუხი ამ საკითხთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ კანონმდებლის გადასაწყვეტი იყო თუ რომელ სფეროებში ახდენდა მოქმედი კანონმდებლობა ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებთან მიმართებაში შესაძლო დისკრიმინაციას იმ ფაქტით, რომ გარკვეულ უფლებებს მხოლოდ ქორწინებაში მყოფ პირებს ანიჭებდა. ხსენებულ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლებმა დააკმაყოფილეს სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების ამოწურვის მოთხოვნა.

70. ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო ეთანხმება მთავრობას და აღიარებს, რომ ალტერნატიული სამართლებრივი აღიარების საკითხი იმდენად ახლოა დაკავშირებული ქორწინების ნებართვის არ მინიჭების საკითხთან, რომ იგი განხილულ უნდა იქნეს წინამდებარე განაცხადის განუყოფელ ნაწილად.

71. დასკვნის სახით, სასამართლო უარყოფს მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებლებმა არ ამოწურეს სამართლებრივი დაცვის საშუალებები მე-14 მუხლთან (მე-8 მუხლთან კავშირში) დაკავშირებულ პრეტენზიებთან მიმართებაში.

2. განმცხადებელთა მსხვერპლის სტატუსი

72. სასამართლოს წინაშე წარდგენილ ზეპირ არგუმენტაციაში მთავრობამ ასევე წამოჭრა ის საკითხი შეეძლოთ თუ არა განმცხადებლებს კვლავაც განეცხადებინათ პრეტენზია, რომ ისინი იყვნენ სავარუდო დარღვევის მსხვერპლნი, მას შემდგომ რაც ძალაში შევიდა რეგისტრირებული პარტნიორობის კანონი.

73. სასამართლო იმეორებს, რომ განმცხადებლის მსხვერპლის სტატუსი დამოკიდებულია იმ კომპენსაციაზე, რომელიც გაიცა ეროვნულ დონეზე იმ ფაქტების საფუძველზე, რომელთა გამოც საჩივარი იქნა წარდგენილი სასამართლოს წინაშე. ამასთანავე გასათვალისწინებელია ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა აღიარეს თუ არა, იქნება ეს აშკარად თუ არსებითად, კონვენციის დარღვევა. მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი ეს ორი პირობაა დაკმაყოფილებული, კონვენციის დამხმარე ხასიათიდან გამომდინარე, კონვენცია გამორიცხავს განაცხადის განხილვის შესაძლებლობას (იხ. მაგალითად *Scordino v. Italy* (dec.), no. 36813/97, ECHR 2003-IV).

74. წინამდებარე საქმეში სასამართლოს არ მოუწევს იმის განხილვა დაკმაყოფილებულ იქნა თუ არა პირველი პირობა, რადგანაც არ დაკმაყოფილებულა მეორე პირობა. მთავრობამ განმარტა, რომ რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ კანონი შემოღებულ იქნა საკითხისადმი მიდგომი არჩეული პოლიტიკის გამო და არ იმიტომ, რომ განხორციელებულიყო კონვენციით დაკისრებული ვალდებულება (იხ. ქვემოთ მე-80 მუხლი). ამიტომ, ხსენებული კანონის შემოღება არ შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის იმ დარღვევის აღიარებად, რომლის არსებობასაც ამტკიცებს განმცხადებელი. შესაბამისად სასამართლო უარყოფს მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებელს აღარ შეუძლია განაცხადოს პრეტენზია იმაზე რომ იგი არის მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან კავშირში, სავარაუდო დარღვევის მსხვერპლი.

3. დასკვნა

75. მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი პრეტენზიები კონვენციის ჭრილში წამოჭრის სერიოზულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებს და ხსენებულ საკითხთა განხილვა მოითხოვს საკითხის არსებითად განხილვას. ამიტომ სასამართლო ასკვნის, რომ ხსენებული პრეტენზია არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ასევე არ ყოფლა დადგენილი რაიმე სხვა საფუძველი ხსენებული პრეტენზიის დაუშვებლად გამოსაცხადებლად.

ბ. არსებითი განხილვა

1. მხარეთა არგუმენტაცია

76. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი პრეტენზია ძირითადად მდგომარეობდა იმაში, რომ ხდებოდა მათი დისკრიმინირება იმის გამო, რომ ისინი იყვნენ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილი. ეთანმხებოდნენ რა მთავრობას, რომ ხსენებული საკითხი ხვდება კონვენციის მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან კავშირში, ფარგლებში, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ისევე როგორც სქესის საფუძველზე არსებული განსხვავებისა, სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა მოითხოვდა განსაკუთრებით სერიოზულ მიზეზებს, რათა გამართლებულად ჩათვლილიყო. განმცხადებლის მტკიცებით, მთავრობამ ვერ შეძლო ასეთი მიზეზების წარმოდგენა, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა მათთვის ქორწინებაზე უარის თქმა.

77. როგორც ეს სასამართლოს მიერ *Karner* -ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა (იხ. ზემოხსენებული საქმე \$40), ტრადიციული ოჯახის დაცვა წარმოადგენდა მნიშვნელოვან და ლეგიტიმურ მიზეზს, მაგრამ უნდა წარმოჩენილიყო, რომ ხსენებული განსხვავებული მოპყრობა ასევე აუცილებელი იყო ხსენებული მიზნის მისაღწევად. განმცხადებლის მტკიცებით არაფერი არ ამტკიცებდა იმას რომ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებისათვის ქორწინების უფლების აკრძალვა აუცილებელი იყო ტრადიციული ოჯახის დაცვისათვის.

78. რეგისტრირებული პარტნიორობის კანონთან დაკავშირებით გამოთქმულ ზეპირ არგუმენტაციაში, განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ის სხვაობა რაც არსებობს ერთის მხრივ ქორწინებასა და მეორეს მხრივ რეგისტრირებულ პარტნიორობას შორის, კვლავაც დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებდა. კერძოდ განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ რეგისტრირებული პარტნიორობის კანონი არ უზრუნველყოფს დანიშვნის შესაძლებლობას; რომ ქორწინებისაგან გასნხვავებით რეგისტრირებული პარტნიორობის გაფორმება არ ხდებოდა პირადი სტატუსის საკითხების სამსახურში, არამედ ფორმდებოდა რაიონული ადმინისტრაციის ხელისუფლების ორგანოში; რომ

არ არსებობდა უფლება კომპენსაციაზე პარტნიორის კანონსაწინააღმდეგო გზით გარდაცვალების შემთხვევაში; რომ ბუნდოვანი იყო გარკვეული შეღავათები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ “ოჯახებს”, ასევე მიენიჭებოდათ თუ არა რეგისტრირებულ პარტნიორებს და ერთ ერთი პარტნიორის შვილებს, რომლებიც წყვილის საერთო თანასაკუთრებაში ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა მოითხოვდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიზეზებს, არანაირი ასეთი მიზეზი არ ყოფილა წარმოდგენილი მთავრობის მიერ.

79. მთავრობა დაეთანხმა, რომ ხსენებულ საქმეში საკითხი ექცეოდა კონვენციის მე-14 მუხლის (მე-8 მუხლთან კავშირში) ფარგლებში. ამ ეტაპამდე სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ჰომოსექსუალურ ურთიერთობებს მიაკუთვნებდა “პირადი ცხოვრების” კონცეპციას, მაგრამ არსებობს ასევე საფუძვლიანი მიზეზები, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა ურთიერთობა, რომლებიც თანაცხოვრობენ, მივაკუთვნოთ “ოჯახურ ცხოვრებას”.

80. რაც შეეხება მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან კავშირში, მოთხოვნებს, მთავრობა ამტკიცებდა, რომ კანონმდებლის შეფასების თავისუფლებაში ხვდებოდა ის საკითხი მიენიჭებინა თუ არა ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებისათვის იმის შესაძლებლობა, რომ მათი ურთიერთობა აღიარებული ყოფილიყო კანონით ქორწინებისაგან განსხვავებული ფორმით. ავსტრიის კანონმდებლობმა აირჩია ის პოლიტიკა, რომ მიენიჭებინა ერთი და იგივე სქესის მქონე პირებისათვის ასეთი შესაძლებლობა. რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ კანონის თანახმად, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს, ერთი და იგივე სქესის მქონე პარტნიორებს შესაძლებლობა მიეცათ შესულიყვნენ რეგისტრირებულ პარტნიორობაში, რაც მათ ანიჭებდა ქორწინების თითქმის ანალოგიურ სტატუსს. ახალი კანონი მოიცავდა ისეთ განსხვავებულ სფეროებს, როგორიც არის სამოქალაქო და სისხლის სამართალი, შრომის სამართალი, სოციალური და სოციალური დაზღვევის სამართალი, ფისკალური სამართალი, ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, პირადი მონაცემების დაცვისა და საჯარო სამსახურთან დაკავშირებული სამართალი, პასპორსტა და რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებული სამართალი, ისევე როგორც უცხოელებთან დაკავშირებული სამართალი.

2. მესამე მხარედ ჩართული სუბიექტების კომენტარები

81. რაც შეეხება მე-8 მუხლის გამოყენების საკითხს, მესამე მხარედ ჩართული მთავრობა ამტკიცებდა, რომ მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ არსებული პრეცედენტული სამართალი არ მიიჩნევდა ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა ურთიერთობებს როგორც “ოჯახური ცხოვრების” კონცეპციის

შემადგენელ ნაწილს, ხსენებულის მიჩნევა არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული მომავალში. მიუხედავად ამისა მე-8 მუხლი, მე-14 მუხლთან კავშირში, არ უნდა ყოფილიყო განმარტებული იმგვარად, რომ მოითხოვდეს ერთი და იგივე სქესის მქონე პირთა ურთიერთობისას სახელმწიფოს მხრივ ან ქორწინებაზე ხელმისაწვდომობის ან სხვა ალტერნატიული ფორმით სამართლებრივი აღიარების ვალდებულებას.

82. რაც შეეხება განსხვავებული მოპყრობის გამართლებას, მესამე მხარედ ჩართული მთავრობა არ ეთანხმებოდა განმცხადებლის იმ არგუმენტს, რომელიც გამომდინარეობდა სტრასბურგის სასამართლოს მიერ *Karner* –ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან. ხსენებულ საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ გაქირავების შესახებ კანონით ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებისათვის დაცვის იგივე გარანტიების არ მინიჭება, რაც გააჩნდათ სხვადასხვა სქესის მქონე წყვილებს, არ იყო გამოწვეული იმის აუცილებლობით რომ მიღწეულიყო ოჯახის, მისი ტრადიციული გაგებით, დაცვის კანონიერი მიზანი. ხსენებულ საქმეში საკითხი სხვა კუთხით იდგა: აქ მთავარი იყო ქორწინებასა თუ სამართლებრივი აღიარების სხვა ალტერნატიულ საშუალებაზე ხელმისაწვდომობის საკითხი. განსხვავებული სქესის მქონე წყვილებსა და ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს შორის განსხვავებული მოპყრობის გამართლება თავად კონვენციის მე-12 მუხლში იყო მოცემული.

83. და ბოლოს მესამე მხარედ ჩართულმა მთავრობამ განაცხადა, რომ გაერთიანებულ სამეფოში სამოქალაქო პარტნიორობის 2004 წლის კანონი ძალაში შევიდა 2005 წელს და ითვალისწინებს ერთი და იგივე სქესის მქონე პირების რეგისტრაციას. თუმცა ხსენებული კანონი მიღებულ იქნა როგორც პოლიტიკური არჩევანი, რათა გამყარებულიყო სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა და არყოფილა მთავრობის მიერ მოაზრებული, რომ კონვენცია აკისრებს სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ რეგისტრაციის შესაძლებლობა. მთავრობის აზრით ხსენებული პოზიცია გამყარებული იყო სტრასბურგის სასამართლოს მიერ საქმეზე *Courten v. the United Kingdom* (4479/06 2008 წლის 4 ნოემბერი) მიღებული გადაწყვეტილებით.

84. ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთობლივად განაცხადა, რომ სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით ხვდებოდნენ თუ არა კონვენციის მე-8 მუხლში მოხსენიებულ “ოჯახური ცხოვრების” კონცეპციის ქვეშ ერთი და იგივე სქესის მქონე პარტნიორები, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ. ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ *Karner* –ის გადაწყვეტილებაში (პუნქტი 33) ხსენებული საკითხი ღიად იქნა დატოვებული. ორგანიზაციების მტკიცებით ამ დროისათვის ზოგადად უკვე აღიარებული იყო, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს გააჩნდათ ანალოგიური უფლება დაემყარებინათ ხანგრძლივი ემოციური და სქესობრივი ურთიერთობები სხვადასხვა სქესის მქონე წყვილების ანალოგიურად და

ამგვარად მათ გააჩნდათ იგივე საჭიროებები, როგორც სხვადასხვა სქესის მქონე წყვილებს, რათა მათი ურთიერთობები აღიარებული ყოფილიყო კანონით.

85. იმ შემთხვევაში თუკი სასამართლო დაადგენდა, რომ კონვენციის მე-12 მუხლი არ მოითხოვდა ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან მიენიჭებინათ ერთი და იგივე სქესის მქონე პირებისათვის ქორწინების უფლება, სასამართლოს უნდა განეხილა ის საკითხი აკისრებდა თუ არა კონვენციის მე-14 მუხლი (მე-8 მუხლთან კავშირში) სახელმწიფოებს იმის ვალდებულებას, რომ უზრუნველყოთ სამართლებრივი აღიარების ალტერნატიული საშუალებები ერთი და იგივე სქესის მქონე პარტნიორებისათვის.

86. არასამთავრობო ორგანიზაციებმა პოზიტიური პასუხი გასცეს ხსენებულ კითხვაზე: პირველ რიგში მათი განცხადებით ერთი და იგივე სქესის მქონე პირებისათვის გარკვეული უფლებების ჩამორთმევა, რაც თან ახლავს ქორწინებას (მაგალითად როგორც არის მარჩენალის პენსია) და მათთვის ალტერნატიული შესაძლებლობის არ მიცემა, რომ მიიღონ ეს პენსია წარმოადგენს არაპირდაპირ დისკრიმინაციას (*Thlimmenos v. Greece* [GC], no. 34369/97, § 44, ECHR 2000-IV). მეორე რიგში, ორგანიზაციების იზიარებდნენ განმცხადებლის არგუმენტს, რომელიც გამომდინარეობდა კარნერ –ის ზემოხსენებული გადაწყვეტილებიდან. მესამე რიგში ისინი ამტკიცებდნენ, რომ ევროპული კონსენსუსი სულ უფრო და უფრო მზარდად უჭერდა მხარს იმ იდეას, რომ წევრ სახელმწიფოებს ეკისრებოდათ იმის ვალდებულება, რომ თუ ქორწინების უფლებას არ მისცემდნენ, ალტერნატიული საშუალებებით მაინც მოეხდინათ სამართლებრივი აღიარება. ამ ეტაპისათვის სახელმწიფოების 40 % გააჩნდა კანონმდებლობა, რომელიც ერთი და იგივე სქესის მქონე პირებს აძლევდა უფლებას მოეხდინათ თავიანთი ურთიერთობის რეგისტრირება ქორწინების სახით ან ალტერნატიული საშუალებით (იხ. 27-28 პუნქტები).

3. სასამართლოს შეფასება

ა. მე-14 მუხლის გამოყენება მე-8 მუხლთან კავშირში

87. სასამართლომ განიხილა რამოდენიმე საქმე, რომელიც ეხებოდა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებულ დისკრიმინაციას. ზოგიერთი მათგანი სასამართლომ განიხილა მხოლოდ მე-8 მუხლთან შესაბამისობის კუთხით, სახელდობრ კი საქმეები, რომლებიც ეხებოდა სრულწლოვან პირებს შორის ჰომოსექსუალური ურთიერთობის აკრძალვას და დანაშაულად გამოცხადებას (იხ. *Dudgeon v. the United Kingdom*, 1981 წლის 22 ოქტომბერი, Series A no. 45; *Norris v. Ireland*, 1988 წლის 26 ოქტომბერი, Series A no. 142; და *Modinos v. Cyprus*, 1993 წლის 22 აპრილი, Series A no. 259) და ჰომოსექსუალების გარიცხვას შეიარაღებული ძალებიდან (იხ. *Smith and Grady v. the United Kingdom*, nos. 33985/96 და 33986/96, ECHR 1999-VI). სხვა საქმეები განხილულ იქნა მე-14 მუხლთან, მე-8 მუხლთან კავშირში, შესაბამისობის

კუთხით. ხსენებული საქმეები ეხებოდა განსხვავებული ასაკობრივი ცენზის დადგენას სისხლის სამართლის კანონით ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის (*L. and V. v. Austria*, nos. 39392/98 და 39829/98, ECHR 2003-I), მშობლის უფლების მინიჭებას (*Salgueiro da Silva Mouta v. Portugal*, no. 33290/96, ECHR 1999-IX), ბავშვის აყვანის ნებართვას (ზემოხსენებული *Fretté v. France*, no. 36515/97, ECHR 2002-I, და *E.B. v. France*) და გარდაცვლილი პარტნიორის, როგორც დამკირავებლის ჩანაცვლების უფლება (*Karner* –ის ზემოხსენებული საქმე).

88. წინამდებარე საქმეში განმცხადებლებმა თავიანთი პრეტენზიები წარმოადგინეს მე-14 მუხლთან (მე-8 მუხლთან კავშირში) დაკავშირებით. სასამართლო ჯეროვნად მიიჩნევს ხსენებული კუთხით პრეტენზიების განხილვას.

89. როგორც ეს სასამართლომ მრავალჯერ განაცხადა, როგორც ეს სასამართლომ მრავალჯერ განაცხადა, მე-14 მუხლს გააჩნია კონვენციისა და დამატებითი ოქმების არსებითი დებულებების დამხმარე ხასიათი. მე-14 მუხლის ცალკე გასაჩივრება არ შეიძლება, რადგანაც იგი მოქმედებს მხოლოდ კონვენციითა და ოქმებით დაცულ “უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებასთან დაკავშირებით”. მართალია მე-14 მუხლის გამოყენება არ მოიაზრებს სხვა დებულებების დარღვევის დადგენის აუცილებლობას – და ამ კუთხით იგი ავტონომიურ მნიშვნელობას ატარებს – მისი გამოყენება დაუშვებელია თუკი შესაბამისი ფაქტები არ ხვდება რომელიმე არსებითი უფლების მოქმედების ფარგლებში. (იხ. მაგალითად *E.B. v. France*, ზემოხსენებული საქმე, § 47; *Karner* –ის ზემოხსენებული საქმე § 32; და *Petrovic v. Austria*, 1998 წლის 27 მარტი, § 22, *Reports* 1998-II.).

90. წინამდებარე საქმეში უდავოა, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე პირების ურთიერთობა, როგორც ეს განმცხადებლებს შორის გვევლინება, ხვდება “პირადი ცხოვრების” კონცეპციის ქვეშ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით. თუმცა მხარეთა კომენტარების გათვალისწინებით, სასამართლო ჯეროვნად თვლის შეეხოს იმ საკითხს წარმოადგენს თუ არა მათი ურთიერთობა “ოჯახურ ცხოვრებას”.

91. სასამართლო იმეორებს მის მიერვე ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებთან დაკავშირებით დადგენილ პრეცედენტულ სამართალს, კერძოდ სასამართლო აცხადებს, რომ ამ დებულების თანახმად ოჯახის ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებული ურთიერთობით და შესაძლოა გულისხმობდეს დე ფაქტო ოჯახურ კავშირებს, როდესაც მხარეები ცხოვრობენ ერთად შეუღლების გარეშე. ასეთი ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვი იქნა ჯერე წარმოადგენს ამ “ოჯახის” განუყოფელ ნაწილს დაბადების მომენტიდანვე და იმ ფაქტის საფუძველზე რომ იგი ასეთი ურთიერთობის შედეგად დაიბადა (იხ. *Elsholz v. Germany* [GC], no. 25735/94, § 43, ECHR 2000-VIII; *Keegan v. Ireland*, 1994 წლის 26 მაისი, § 44, Series A no. 290;

და ასევე *Johnston and Others v. Ireland*, 1986 წლის 18 დეკემბერი, § 56, Series A no. 112).

92. ხსენებულის საპირისპიროდ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მხოლოდ იმას აღიარებდა, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე პირების ემოციური და სექსუალური ურთიერთობა წარმოადგენს “პირად ცხოვრებას” მაგრამ არ წარმოადგენდა “ოჯახურ ცხოვრებას”, ისეთ შემთხვევებშიც კი როდესაც სახეზე იყო თანამცხოვრები პარტნიორების ხანგრძლივი ურთიერთობა. ხსენებული დასკვნის გამოტანამდე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად მზარდი ტენდენციისა ევროპულ სახელმწიფოებში, რომ მომხდარიყო ჰომოსექსუალებს შორის არსებული სტაბილური დე ფაქტო პარტნიორობის სამართლებრივი და სასამართლოს გზით აღიარება, იმის გამო, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კვლავაც ცოტა თუ ჰქონდა საერთო ამ მიმართულებით, ხსენებული წარმოადგენდა იმ სფეროს სადაც სახელმწიფოები ჯერ კიდევ სარგებლობდნენ შეფასების ფართე თავისუფლებით (იხ. *Mata Estevez v. Spain* (dec.), no. 56501/00, ECHR 2001-VI., შემდგომი მითითებებით). ზემოხსენებულ *Karner* –ის საქმეში, რომელიც ეხებოდა პარტნიორის მიერ გარდაცვლილი პარტნიორის მექირავნის უფლებებში ჩანაცვლებას, რაც თავის მხრივ ხვდებოდა “საცხოვრებლის კონცეპციის ქვეშ”, სასამართლომ ნათლად დატოვა ღია ის საკითხი საქმე ასევე ეხებოდა თუ არა განმცხადებლის “პირად და ოჯახურ ცხოვრებას”.

93. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2001 წლის შემდგომ, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება *Mata Estevez*-ის საქმეზე, მრავალ ხელშემკვრელ სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა სოციალური მიდგომების სწრაფ განვითარებას ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებთან მიმართებაში. ხსენებული გადაწყვეტილების შემდგომ მრავალმა წევრმა სახელმწიფომ მიანიჭა სამართლებრივი აღიარება ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს (იხ. ზემოთ 27-30 პუნქტები). ევროკავშირის სამართლის გარკვეული დებულებები ასევე ასახავს იმის მზარდ ტენდენციას, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილები მოექცნენ “ოჯახის” ცნების ქვეშ (იხ. ზემოთ 26-ე პუნქტი).

94. ხსენებული ევოლუციის გათვალისწინებით სასამართლო ხელოვნურად მიიჩნევს იმ მიდგომის კვლავაც შენარჩუნებას, რომ სხვადასხვა სქესის მქონე წყვილებისაგან განსხვავებით, ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს არ შეუძლიათ ისარგებლონ “ოჯახური ცხოვრებით” მე-8 მუხლის მნიშვნელობით. შესაბამისად განმცხადებელთა ურთიერთობა, რომლებიც არიან ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილი და ცოხვრობენ დე ფაქტო სტაბილურ პარტნიორობაში, ხვდება “ოჯახური ცხოვრების” კონცეპციის ქვეშ, ისევე როგორც მოხვდებოდა ამ კონცეპციის ქვეშ სხვადასხვა სქესის მქონე წყვილის ურთიერთობა იგივე სიტუაციაში.

95. ამიტომ სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმის ფაქტები ხვდება “პირადი ცხოვრების” კონცეპციის ისევე როგორც “ოჯახური ცხოვრების”

კონცეპციის ქვეშ მე-8 მუხლის მნიშვნელობით. შესაბამისად წინამდებარე საქმეში გამოიყენება მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან კავშირში.

ბ. მე-14 მუხლთან, მე-8 მუხლთან კავშირში, შესაბამისობა

96. მიღებულ პრეცედენტულ სამართალში სასამართლომ დაადგინა, რომ იმისათვის, რათა წარმოიშვას საკითხი მე-14 მუხლის სავარაუდოდ დარღვევასთან დაკავშირებით, სახეზე უნდა იყოს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ სიტუაციაში მყოფ პირებთან მიმართებაში. ასეთი განსხვავება მოპყრობისას დისკრიმინაციულია, თუკი მას არ გააჩნია მიზანი და გონივრული გამართლება; სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ თუკი იგი არ ემსახურება კანონიერ მიზანს ან თუკი არ არსებობს გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის. ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების თავისუფლებით იმის შეფასებისას განსხვავებული მოპყრობა, თუ ასეთი საერთოდ უნდა იყოს და არსებობის შემთხვევაში რა დონით, იმ პირებთან მიმართებაში, რომლებიც ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან, უნდა ჩაითვალოს გამართლებულად (იხ. ზემოხსენებული *Burden*-ის საქმე პ. 60).

97. ერთის მხრივ სასამართლომ რამოდენიმეჯერ აღნიშნა, რომ ისევე როგორც სქესზე დაფუძნებული განსხვავებისას, სექსუალურ ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა, იმისათვის, რათა ჩაითვალოს გამართლებულად, მოითხოვს განსაკუთრებით სერიოზულ მიზეზებს (იხ. *Karner*, § 37; *L. and V. v. Austria*, § 45; და *Smith and Grady* -ს ზემოხსენებული საქმე § 90). მეორეს მხრივ კონვენციის თანახმად სახელმწიფოებს ყოველთვის გააჩნიათ შეფასების ფართე ზღვარი, როდესაც საკითხი ეხება ეკონომიკური ან სოციალური სტრატეგიის ზოგად ღონისძიებებს (იხ. მაგალითად *Stec and Others v. the United Kingdom* [GC], no. 65731/01, § 52, ECHR 2006-VI)).

98. შეფასების ზღვარი განსხვავდება გარემოებებიდან გამომდინარე, დამოკიდებული იქნება კონკრეტული საკითხის შინაარსსა და თანხმდებ ფონზე, ხსენებულთან დაკავშირებით ერთ ერთი რელევანტური ფაქტორი შეიძლება იყოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში კანონმდებლობების კუთხით არსებული ერთნაირი მიდგომები (იხ. *Petrovic* -ის ზემოხსენებული საქმე, §38).

99. მართალია მხარეებს ნათლად არ უმსჯელიათ იმ საკითხთან დაკავშირებით განმცხადებლები იყვნენ თუ არა სხვადასხვა სქესის მქონე წყვილების მეტ ნაკლებად ანალოგიურ მდგომარეობაში, მაგრამ სასამართლო დაიწყებს მსჯელობას იქიდან, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს, ისევე როგორც სხვადასხვა სქესის მქონე წყვილებს, შეუძლიათ შევიდნენ სტაბილურ მყარ ურთიერთობაში. შესაბამისად ისინი სხვადასხვა სქესის მქონე წყვილების, მეტნაკლებად ანალოგიურ, მდგომარეობაში არიან იმ კუთხით, რომ გააჩნიათ

საჭიროება სამართლებრივად იქნეს აღიარებული და დაცული თავიანთი ურთიერთობები.

100. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მოხდა მათი, როგორც ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილის, დისკრიმინირება პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ კვლავაც არ შეეძლოთ დაქორწინება და მეორე რიგში იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო რაიმე სხვა სახის სამართლებრივი აღიარების მოპოვება რეგისტრირებული პარტნიორობის კანონის ძალაში შესვლამდე.

101. რაც შეეხება განმცხადებლების არგუმენტს, რომ ისინი არ ეთანხმებიან ხსენებულს და აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ მე-12 მუხლში არ არის მოხსენიებული მათი ქორწინების უფლება, ეს უკანასკნელი შეიძლება ლოგიკურად გამომდინარეობდეს მე-14 მუხლიდან, მე-8 მუხლთან კავშირში, სასამართლო არ იზიარებს მათ მოსაზრებას. სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის აღქმა და ცაკითხვა უნდა მოხდეს მთლიანობაში და ამიტომაც კონვენციის მუხლები ჰარმონიულად უნდა იქნეს შეჯერებული ურთიერთთან (იხ. *Johnston and Others* –ის საქმეზე გამოტანილი ზემოხსენებული გადაწყვეტილება \$ 57). ზემოხსენებული დასკვნის გათვალისწინებით, კერძოდ კი იმის მხედველობაში მიღებით, რომ მე-12 მუხლი არ აკისრებს ვალდებულებას სახელმწიფოებს, რომ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს მისცენ ქორწინების უფლება, მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან კავშირში, დებულება, რომელსაც უფრო ზოგადი მიზანი და ფარგლები გააჩნია, ანალოგიურად არ შეიძლება განმარტებულ იქნეს ისე რომ აკისრებდეს სახელმწიფოს ასეთ ვალდებულებას.

102. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივრის მეორე ნაწილს, ჯერძოდ კი იმ ფაქტს, რომ არ არსებობდა ალტერნატიული სამართლებრივი აღიარების სხვა საშუალება, სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის, როდესაც განმცხადებლებმა წარადგინეს განაცხადი სტრასბურგის სასამართლოში, მათარ გააჩნდათ იმის შესაძლებლობა, რომ მათი ურთიერთობა აღიარებული ყოფილიყო ავსტრიის კანონმდებლობით. ხსენებული სიტუაცია არსებობდა 2010 წლის 1 იანვრამდე, როდესაც ძალაში შევიდა კანონი რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ.

103. ხსენებულთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ ინდივიდუალურ განაცხადთან დაკავშირებით მიმდინარე სამართალწარმოებისას იგი მაქსიმალურად შემოიფარგლება ხოლმე მხოლოდ მის წინაშე წარდგენილი კონკრეტული სამის ფაქტობრივი გარემოებების განხილვით (იხ. *F. v. Switzerland*, ზემოხსენებული საქმე § 31). იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე განმცხადებლებს შეუძლიათ რეგისტრირებულ პარტნიორობაში შესვლა, სასამართლო აღარ განიხილავს იმ საკითხს ერთი და იგივე სქესის მქონე პირების ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის არ არსებობა წარმოადგენს თუ არა კონვენციის მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან კავშირში დარღვევას, რადგანაც ასეთი მექანიზმი დღეისათვის არსებობს უკვე.

104. ის რაც სასამართლომ უნდა განიხილოს წინამდებარე საქმეში არის ის მოპასუხე სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო თუ არა განმცხადებლები მათი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების მექანიზმით უფრო ადრეულ ეტაპზე, ვიდრე სახელმწიფომ ეს გააკეთა.

105. სასამართლოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ევროპაში შეიმჩნევა მზარდი კონსენსუსი ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილთა სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც ხსენებული ტენდენცია სწრაფად განვითარდა გასული ათწლეულის განმავლობაში. მიუხედავად ხსენებულისა სახელმწიფოების უმეტესობა ჯერ კიდევ არ ანიჭებს სამართლებრივ აღიარებას ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს. შესაბამისად ხსენებული სფერო კვლავაც უნდა ჩაითვალოს ისეთ სფეროდ, რომელშიც ვითარდება უფლებები და დამყარებული არ არის კონსენსუსი, ხოლო სახელმწიფოებს კი უნდა გააჩნდეთ შეფასების თავისუფლება იმის განსაზღვრისას თუ როდის განახორციელონ საკანონმდებლო ცვლილებები (იხ. ზემოხსენებული *Courten*, იხ. ასევე *M. W. v. the United Kingdom* (dec.), no. 11313/02. 11313/02, 2009 წლის 23 ივნისი, ორივე მათგანი ეხება სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ კანონის მიღებას გაერთიანებულ სამეფოში).

106. რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს ასახავს ზემოხსენებულ განვითარებას და შესაბამისად წარმოადგენს ევროპაში წარმოშობილი კონსენსუსის ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის კანონმდებელი არ იყო ერთ-ერთი პირველი, არ შეიძლება მისი გაკრიტიკება იმისათვის, რომ ადრე არ მიიღო კანონი რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ (იხ. *mutatis mutandis*, *Petrovic* –ის ზემოხსენებული საქმე \$41).

107. და ბოლოს სასამართლო განიხილავს განმცხადებლების იმ არგუმენტს, რომ კვლავაც ხდება მათი დისკრიმინირება იმის საფუძველზე რომ ისინი ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილია. განსხვავება კი მდგომარეობს ქორწინებისა და რეგისტრირებული პარტნიორობისათვის სხვა სტატუსის მინიჭებაში.

108. სასამართლო მსჯელობას იწყებს ზემოხსენებული დასკვნიდან, რომ სახელმწიფოები თავისუფალნი არიან კონვენციის მე-12 მუხლიდან, ისევე როგორც მე-14 მუხლიდან, მე-8 მუხლთან კავშირში, გამომდინარე რომ შეზღუდონ ქორწინებაში შესვლა ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებთან მიმართებაში. მიუხედავად ხსენებულისა განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ თუკი სახელმწიფო მიიღებს გადაწყვეტილებას სამართლებრივი აღიარება მიანიჭოს ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს, სახელმწიფო ვალდებულია იგივე სტატუსი მიანიჭოს მათ – თუმცაღა შეიძლება სტატუსს სხვა სახელი ჰქონდეს – რომელიც შეესაბამება ქორწინებას ყველა ასპექტში. სასამართლო ვერ იქნა დარწმუნებული ხსენებული არგუმენტის სისწორეში. ხსენებულის საპირისპიროდ სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული თავისუფლებით იმასთან დაკავშირებით თუ რა

სტატუსი მიანიჭონ ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილებს აღიარების ალტერნატიული საშუალებით.

108. სასამართლო აღნიშნავს, რომ რეგისტრირებული პარტნიორობის შესახებ კანონიშესაძლებლობას აძლევს განმცხადებლებს მოიპოვონ სამართლებრივი სტატუსი, რომელიც უთანაბრდება ქორწინებას ან მისი ანალოგიურია მრავალ ასპექტში (იხ. ზემოთ 18-23 პუნქტები). მაშინ, როდესაც მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებაა მატერიალურ შედეგების თვალსაზრისით, ზოგიერთი არსებითი განსხვავება კვლავაც თავს იჩენს მშობლის უფლებებთან დაკავშირებით. თუმცა ხსენებული შეესაბამება სხვა სახელმწიფოებში არსებულ ტენდენციებს (იხ. ზემოთ 32-33 პუნქტები). უფრო მეტიც სასამართლო წინამდებარე საქმეში არ განიხილავს დეტალურად ყველა არსებულ სხვაობას. მაგალითად, რადგანაც განმცხადებლები არ ჩიოდნენ, რომ მათზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენდა ის შეზღუდვები, რომლებიც ეხებოდა ხელოვნურ განაყოფიერებას ან შვილად აყვანას, სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ საკითხის განხილვა გამართლებულად შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ეს შეზღუდვები, გაცდება წინამდებარე განაცხადის ფარგლებს. მთლიანობაში რომ ვთქვათ, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მინიშნებას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ გადალახა შეფასების ზღვარი იმის არჩევისას თუ რა უფლებები და ვალდებულებები მიენიჭებინა რეგისტრირებული პარტნიორებისათვის.

110. დასკვნის სახით სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან კავშირში.

IV. კონვენციის პირველი დამტებითი ოქმის 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

111. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ დაქორწინებულ წყვილებთან შედარებით ისინი უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ფინანსური თვალსაზრისით, კერძოდ კი საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლს, რომლის თანახმადაც:

“ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად”.

ა. დაშვებადობა

112. წერილობით არგუმენტებში მთავრობა ამტკიცებდა, რომ ფინანსურ სფეროში შესაძლო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული განცხადებლების პრეტენზია დაუშვებლად უნდა ყოფილიყო მიჩნეული სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების არ ამოწურვის გამო. თუმცა მთავრობა ნათლად არ დაყრდნობია ხსენებულ არგუმენტს სასამართლოს წინაშე წარდგენილ ზეპირ არგუმენტაციაში.

113. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლებმა წამოჭრეს ფინანსურ სფეროში არსებული შესაძლო დისკრიმინაციის საკითხი, კერძოდ კი ხსენებული ეხებოდა საგადასახადო კოდექსს, საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ სარჩელში, რათა მოეხდინათ თავიანთი მთავარი პრეტენზიის ილუსტრირება. კერძოდ განმცხადებლები აცხადებდნენ რომ ხდებოდა მათი დისკრიმინაცია იმის საფუძველზე, რომ ისინი ერთი და იგივე სქესის მქონე წყვილი იყვნენ და არ ეძლეოდათ ქორწინების უფლება.

114. წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო არ თვლის საჭიროდ განიხილოს ის საკითხი ამოწურეს თუ არა განმცხადებლებმა სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებები. სასამართლო აღნიშნავს, რომ წარდგენილ განაცხადში განმცხადებლებს არ გაუკეთებიათ მითითება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით. ამიტომაც სასამართლო მიიჩნევს, რომ ხსენებული პრეტენზია არ არის დასაბუთებული.

115. ხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო თვლის, რომ პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია და უარყოფილ უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე

1. ერთხმად უარყოფს მთავრობის მოთხოვნას განსახილველ საქმეთა სიიდან განაცხადის ამოღებასთან დაკავშირებით;
2. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ არსებით განხილვაზე დაშვებულად აცხადებს განმცხადებლების პრეტენზიას მე-12 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით;
3. ერთხმად აცხადებს არსებით განხილვაზე დაშვებულად განმცხადებლის პრეტენზიებს კონვენციის მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან კავშირში;
4. ერთხმად აცხადებს დაუშვებლად არსებით განხილვაზე განაცხადში მოხსენიებულ სხვა პრეტენზიებს;
5. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-12 მუხლის დარღვევას;

6. ოთხი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის, მე-8 მუხლთან კავშირში დარღვევას;

შესრულებულია ინგლისურ ენაზე, და გაცხადებულია წერილობით სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად

ანდრე ვამპაზი
რეგისტრატორის მოადგილე

ხრისტოს როზაკისი
თავმჯდომარე

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოების ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ატარებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს და სასამართლო არ კისრულობს რაიმე სახის პასუხისმგებლობას თარგმანის ხარისხზე. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC -ის პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან რომელსაც გააჩნია წვდომა სასამართლოს მონაცემთა ბაზაზე. თარგმანის გამოყენება შეიძლება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხსენიებული იქნება საქმის სრული დასახელება, ზემოხსენებული მითითება საავტორო უფლებისა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის შესახებ. იმ შემთხვევაში თუკი იგეგმება წინამდებარე თარგმანის რომელიმე ნაწილის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის, გთხოვთ მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე publishing@echr.coe.int

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012.

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012.

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int